ჩვენი ჭაბუკების დიდი წარმატება

საქართველოს ნაკრები — „იმედის თასის“ მფლობელი

დუშანბე, 11 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდ ფეხბურთელთა (1955-1956 წლებში დაბადებულნი) საკავშირო გათამაშების გადამწყვეტი მატჩი „იმედის თასზე“ საქართველოს ნაკრებს უკრაინის გუნდთან ჰქონდა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრეს და გათამაშებაში I ადგილი დაიკავეს. ეს რესპუბლიკის ნაკრების დიდი წარმატებაა. საქართველოს გუნდი 1968 წელსაც ფლობდა ამ პრიზს, ახლა კი კვლავ შეძლო ამ დიდი წარმატების გამეორება. ჩვენს ფეხბურთელებს ამზადებდნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი და მწვრთნელი ჯ. ჯანელიძე. საქართველოს სპორტსმენები ოქროს მედლებით და საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ყაზახეთისა და ბელორუსიის გუნდები.

სპორტის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ წლეულს თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდმა მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოზარდთა შორის, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები „სიჭაბუკის თასის“ მფლობელი გახდა.

ნ. ამირეჯიბი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 223
(4993)

1973 წ.
13 ნოემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

სტადიონები სპარტაკიადის ფინალებისთვის

ურალის ზამთარი ცხრა მთას იქით აღარ არის. ეს იგრძნობა მხატვართა სახელოსნოებშიც, სადაც უზარმაზარ სარეკლამო ფარებზეც უკვე გამოჩნდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ოფიციალური ემბლემის პირველი „ფიფქები“... სვერდლოვსკელები საქმიანად ემზადებიან სტუმრების შესახვედრად, ციგურაობაში, სათხილამურო რბოლაში, ბიატლონში, ფიგურულ ციგურაობაში ფინალურ შეჯიბრებათა ჩასატარებლად.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა, მაგრამ უკვე ღელავენ: უქტუსის მთებში ყველაფერი მსოფლიო სტანდარტების დონეზე უნდა მომზადდეს.

საორგანიზაციო კომიტეტში, რომელსაც სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბორისოვი ხელმძღვანელობს, დიდი მუშაობაა გაჩაღებული. საოლქო ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, ქარხნებში, საპროექტო ინსტიტუტებში, სამშენებლო სამმართველოებში გახშირდა „სასპარტაკიადო საუბრები“.

მასპინძლებმა მზადების პირველი დღიდანვე დიდი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს დაკისრებული საქმის მიმართ. სვერდლოვსკელებმა სხვა წინასწარ დაგეგმილ საქმესთან ერთად ქალაქის „სპორტულ განახლებასაც“ მოჰკიდეს ხელი. არქიტექტორებმა შეადგინეს სპორტულ ნაგებობათა რეკონსტრუქციის პროექტები, მშენებლებმა გამონახეს დამატებითი კადრები, მექანიზმები, მასალები.

„დინამოს“ და ასკ-ს სპორტულ ბაზებს, სადაც ბიატლონში და სათხილამურო რბოლაში უნდა ჩატარდეს შეჯიბრებები, უკვე ვეღარ იცნობთ. მშენებლებმა ააფეთქეს კლდის ნაწილი, რათა „დინამოს“ სასროლეთი გაეფართოებინათ. აქვე მოაწყვეს ადგილიდან მსროლელთა სარბიელი, დადგეს ქოხები სპორტსმენებისთვის, მოაწყვეს ავტომანქანების სადგომები. განსაკუთრებით მაყურებლებისთვის ზრუნავენ. მათთვის ააგეს ტრიბუნები, საიდანაც მშვენივრად გამოჩნდება არა მარტო სასროლეთი, არამედ ტრასის ცალკეული უბნებიც (დღემდე გულშემატკივრები თვითონ ირჩევდნენ ხოლმე ადგილს ტრასის გასწვრივ და ნათხილამურევს ძალაუნებურად აფუჭებდნენ, სპორტსმენებს ხელს უშლიდნენ).

ნამდვილი სათხილამურო სტადიონი შენდება არმიელთა ბაზაზე, სადაც, მრავალი წლის მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, მრბოლელებმა უნდა იასპარეზონ. სასტარტო მინდორი 100 მეტრამდე გაფართოვდა. მსაჯები, ექიმები და ჟურნალისტები თბილ და ნათელ სამსართულიან პავილიონში იმუშავებენ. მოთხილამურეებისთვის ბრეზენტის კარვების მაგიერ აიგება სასტუმროს ტიპის კარგა მოზრდილი სახლი ბეტონისა და მინისგან, რომელსაც საშხაპეებიც ექნება. გადაკეთდა სასადილო, გაიხსნება კლუბი და ფინური აბანო.

დიდი მუშაობა ჩატარდა რბოლის ტრასაზე. ტყეში, კლდიან ბორცვებს შორის, მთელ ზაფხულს ისმოდა აფეთქების ხმა, გუგუნებდა მანქანები. გაიყვანეს 130-კილომეტრიანი ტრასა, რომლის სიგანეც 5 მეტრია. აქ სპეციალური მექანიზმის დახმარებით სათხილამურო სარბიელიც შეიძლება გაკეთდეს. სპორტსმენებს აქ არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ უდიდესი სისწრაფით ქროლვის დროსაც კი.

სპარტაკიადის ფინალური სტარტებისთვის ემზადება სპორტული კომბინატი „იუნოსტიც“. ამ კომბინატის ხელოვნური ყინულის ბილიკზე უკვე ვარჯიშობს ბევრი სპორტსმენი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დროშის ქვეშ ჩატარდება ზამთრის სპორტული სეზონი შუა ურალის ყველა ქარხანაში, აგრეთვე, ინსტიტუტებში, ორგანიზაციებში, სკოლებში.

„ურალმაშზავოდში“, მაგალითად, სადაც ყოველი მეორე კაცი ფიზკულტურელია, ორი ათასზე მეტი შტატიანი და საზოგადოებრივი მწვრთნელი და მსაჯი ჰყავთ. მათგან ნახევარი სპორტის ზამთრის სახეობებს უძღვება. აქვთ ორი ჰოკეის მოედანი, სათხილამურო ბაზა, სამი საციგურაო, რომელთაგანაც ერთი მხოლოდ ბავშვების განკარგულებაშია. შეკეთდა წყლის სასხმელი და ყინულსაფხეკი მანქანები, მომზადდა მომსახურე პერსონალი.

ქარხნის საზამთრო „ჯანმრთელობის სპარტაკიადაში“ ათასობით მუშა და ინჟინერი მიიღებს მონაწილეობას. ასპარეზობას უხელმძღვანელებს „ურალმაშის“ მთავარი ინჟინერი ი. კონდრატოვი. თუ დღეს ქარხანაში მშდ კომპლექსის 1500 ნიშნოსანია, ზამთარში მათი რიცხვი ბევრად გაიზრდება. ახალი კომპლექსის ნორმატივებს ამ საწარმოში 19 ათასი კაცი აბარებს.

ვ. სტარიკოვი.
(საკდესის კორ.).

სვერდლოვსკი.

გამარჯვება დაბადების დღეს

სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში გაიმართა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ბატუტზე ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის (2), ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და რუსთავის კოლექტივები.

გუნდური I ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელებს — 177,6 ქულა. II ადგილზეა თბილისის პირველი გუნდი (168,19), ხოლო III — ბათუმელთა კოლექტივი (159,0).

სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ქალთა შორის საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ლ. სტრელნიკოვა (ბათუმი), ც. სურგულაძე (ქუთაისი), დ. გოგისვანიძე (თბილისი).

ვაჟთა შორის უძლიერესი იყო რუსთაველი სპორტის, ოსტატი ვ. ბეიგერი, რომელსაც ასპარეზობის დღეს 19 წელი შეუსრულდა. II ადგილზე გავიდა თბილისელი ვ. ჩხობერიძე, III — გ. ავალიანი (რუსთავი).

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

სურათზე: „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ლ. სტრელნიკოვა ასპარეზობისას.
ავტორის ფოტო.

ა. მეტრეველი — გ. მისრუ 6 : 4, 6 : 3

7,5 კილოგრამით აჯობა...

◆ პატნი, 12 ნოემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ჩოგბურთში, თბილისელმა ა. მეტრეველმა, რომელიც ინდოეთში იმყოფება საბჭოთა ახალგაზრდული დელეგაციის შემადგენლობაში, მოიგო აქ გამართული ტურნირი. გადამწყვეტ შეხვედრაში მან დაამარცხა ინდოეთის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი გაურავა მისრუ — 6:4, 6:3.

[illegible] გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 19 45

◆ ნოვი-ბოგუმინე (ჩეხოსლოვაკია), 12 ნოემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ქვესაშუალო წონაში, ვოროშილოვგრადელმა ძალოსანმა ვ. მიხაილოვმა I ადგილი დაიკავა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში „ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის თასზე“. ორჭიდში მან დააგროვა 305 კგ (135+170) — 7,5 კილოგრამით გაუსწრო მეორე პრიზიორს, ცნობილ ჩეხოსლოვაკიელ ათლეტს ო. ჰეკელს.

[illegible]

◆ ცხინვალი

მოეწყო ოლქის ფიზაღზრდის მასწავლებელთა ერთთვიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ლექციებს კითხულობდნენ პედაგოგიური ინსტიტუტისა და სპორტსკოლის ლექტორები და მასწავლებლები.

ვ. მელიქიშვილი.

◆ ლენინგორი

ამას წინათ ლენინგორს ეწვივნენ მუხრანელი (მცხეთის რაიონი) სპორტსმენები და ამხანაგური შეხვედრები გამართეს ფეხბურთსა და კალათბურთში. სტუმრებმა მოიგეს შეხვედრა კალათბურთში (33:28) და ფრედ (2:2) დაამთავრეს მატჩი ფეხბურთში.

ვ. მელქოევი.

[illegible]

როგორც ცნობილია, საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ბელგრადში გამართულმა I მსოფლიო ჩემპიონატმა ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვაში. ეს უკანასკნელი სახეობა ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში. აი, იგი I მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაშიც შეიტანეს, გაისად აგვისტოში კი ამ ულამაზეს სახეობაში ევროპის I ჩემპიონატი გაიმართება.

სსრ კავშირში სინქრონული ცურვის ჯგუფები ჯერჯერობით მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში მუშაობენ და ბელგრადში საბჭოთა სპორტსმენი ქალები ამ სახეობაში საასპარეზოდ არც გამოსულან. მაგრამ ეს ხარვეზი თანდათან გამოსწორდება.

ბელგრადში ყველას აჯობეს ამერიკელებმა. განსაკუთრებით ისახელა თავი ტ. ანდერსენმა, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიგო: ერთეულთა, წყვილთა და გუნდურ შეჯიბრებებში გამარჯვებისთვის.

ეს სურათიც ბელგრადშია გადაღებული მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

ბ. კამენსკის ფოტო.

ფიზიკური კულტურა და მოსწავლე

საბჭოთა ქვეყანაში ფიზიკური აღზრდა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია. იგი მიზნად ისახავს ჯანმრთელი, მხნე, სიცოცხლის მოყვარული, ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებული, აქტიური მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც მზად იქნებიან სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისთვის საბრძოლველად.

მოსწავლის ფიზიკური აღზრდა განუყოფელია მისი გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და პოლიტექნიკური აღზრდისგან. მხოლოდ მტკიცე ჯანმრთელობა, მხოლოდ ინტელექტუალური და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიული განვითარება განაპირობებს მოზარდის ნორმალურ და ბედნიერ ცხოვრებას მომავალში, მის მაღალ შრომისუნარიანობას.

მიუხედავად ამისა, საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სადღეისოდ ჩვენი მოსწავლეები აკადემიურად მეტისმეტად არიან დატვირთული. სასკოლო პროგრამები წლიდან წლამდე რთულდება. დღეღამური ქრონომეტრაჟი გვიჩვენებს, რომ ბავშვები მეტისმეტად დიდ დროს ატარებენ მჯდომარედ სკოლაში, საშინაო დავალების შესრულების დროს, უცხო ენაში და მუსიკაში მეცადინეობისას, დასასრულ — ტელეგადაცემების ყურებისას, როცა დატვირთვა მოზარდის ხერხემალს აწვება. რაც უფრო მაღლა მიიწევს ბავშვი სკოლის საფეხურებზე, ხერხემლის დატვირთვაც მით უფრო მატულობს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ გახშირდა საყრდენ-სამოძრაო აპარატის გამრუდებისა და აღნაგობის დარღვევის შემთხვევები. ამ პერიოდში უკვე ფორმირებას იწყებს ჰიპოდინამიისთვის დამახასიათებელ ცვლილებათა კომპლექსი. მეორე მხრივ, ბავშვის ტვინს ადრეული ასაკიდანვე უხდება უამრავი ინფორმაციის გადამუშავება, მკვეთრად მაღლდება მოთხოვნები ფსიქო-ემოციური სფეროს მიმართ. ეს ხშირად იწვევს გადაღლას და ნევროტულ აშლილობას. ბავშვს გონება ეფანტება, გულისყურით ვეღარ უსმენს პედაგოგს, კარგავს დავალებებში დამოუკიდებლად გარკვევის უნარს, ადვილად ღიზიანდება, სულ უფრო ჭირვეული ხდება. მოსწავლეებს ძილის ფუნქცია ერღვევათ — დღისით საერთოდ თვალს ვერ ხუჭავენ, საღამოს უფრო გვიან იძინებენ, ვიდრე საჭიროა, თან შფოთიანი ძილი აქვთ. დილით ბავშვები სიმხნევეს ვეღარ გრძნობენ და შრომის უნარიც დაქვეითებული აქვთ. მათს მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ ტელევიზია გვიან საღამოს უჩვენებს საინტერესო კინოფილმებს, აწყობს სპორტულ შეჯიბრებათა რეპორტაჟს. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს როგორც მედიცინის მუშაკთა, ისე პედაგოგიური საზოგადოებრიობის მხრიდან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელია ტელეგადაცემები რეგლამენტირებული იქნას და მთავრდებოდეს არა უგვიანეს 23 საათზე.

ღამის საათებში გამართული ყოველნაირი საინტერესო ღონისძიებანი, მათ შორის სპორტულიც, შეიძლება ვიდეოჩანაწერით გადმოსცენ მეორე დღეს, უფრო შესაფერ დროს.

ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რომ საინტერესო კინოსურათების, კონცერტებისა და სპორტულ შეჯიბრებათა ჩვენება ხშირად გვიან, მაგალითად, 22 საათიდან და 30 წუთიდან იწყება. აუცილებელია ეს გადაცემები მოეწყოს 20-დან 22 საათამდე, მერე კი შეიძლება გადმოსცენ უკანასკნელი ცნობები და სხვ.

უაღრესად დიდი ნერვული დატვირთვა ჰიპოკინეზიის ფონზე ნერვულ და ფიზიკურ გამღიზიანებელთა დისჰარმონიას ქმნის. ამასთან, ორგანიზმის ბუნებრივი წინააღმდეგობის უნარი ეცემა, ირღვევა ბევრი დიდი ცხოვრებისეული მნიშვნელობის მქონე ფუნქცია. მოსწავლეს უფრო ადვილად ემართება სხვადასხვა ავადმყოფობა. განსაკუთრებით ხშირია ხერხემლის გამრუდება და აღნაგობის დარღვევა.

რა გზით შეიძლება ბრძოლა ორგანიზმისთვის ესოდენ მავნებელ სტატიზმთან და ჰიპოდინამიასთან? პასუხი ერთია: **მხოლოდ მოძრაობის რეჟიმის გაზრდით და ფიზიკური კულტურის უფრო ფართოდ გამოყენებით!**

როგორაა საქმე ამ მხრივ? ძალიან ცუდად! კვირაში ორი ფიზკულტურის გაკვეთილით ვერასგზით ვერ გავუწევთ წინააღმდეგობას საუკუნის სენს, რომელიც სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენს ცხოვრებაში. ოღონდ უნდა შევთანხმდეთ, რომ ფიზკულტურა შედეგს მოგვცემს მხოლოდ **ყოველდღიური** ვარჯიშის შემთხვევაში. ეს გახლავთ ფიზიკური აღზრდის ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი კლასიკური პრინციპი. ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიში ისევე აუცილებელია ადამიანისთვის, როგორც კვება, დაბანა და ა. შ.

საერთოდ, აუცილებელია ყველა ჯანმრთელი მოსწავლე ყოველდღიურად იყენებდეს ფიზიკური კულტურის ამა თუ იმ ფორმას, ხოლო შესაძლებლობის მიხედვით სპორტულ სექციებშიც იყოს ჩაბმული. მაგრამ ჩვენ ამ მხრივ ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. რატომ ხდება ასე? მიზეზი ბევრია, მაგრამ მათგან უმთავრესად ჩვენ მიგვაჩნია მოსწავლეთა ზედმეტი აკადემიური დატვირთვა, თავისუფალი დროის სიმცირე და ამ საკითხში განათლების ორგანოების გაურკვეველი პოზიცია. რიგაში ხომ შეძლეს გაეხსნათ ექსპერიმენტული სკოლა, სადაც ფიზკულტურის გაკვეთილები ყოველდღე ტარდება! ამ ცდამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო. როგორც ჩანს, საჭიროა ძიება, საჭიროა ექსპერიმენტები და სასკოლო სისტემის გარდაქმნისთვის ბრძოლა. თუ გვინდა მოსწავლეს ფიზკულტურისთვის მეტი დრო დავუტოვოთ, პირველ ყოვლისა საჭიროა იგი ზედმეტი აკადემიური დატვირთვისგან გავათავისუფლოთ. სხვა გზა არ არსებობს! ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სასკოლო სწავლების სპეციალიზაცია და გვინდა განათლების სამინისტროს წინაშე განსახილველად დავაყენოთ ეს საკითხი.

ჩვენი წინადადება ეს იქნება: პირველი ოთხი კლასის მანძილზე შევისწავლოთ ბავშვების უნარი და მიდრეკილებანი ზოგადსაგანმანათლებლო პლანში; უფრო მაღალი კლასებიდან სკოლა იყოს სპეციალიზებული, ესე იგი უპირატესად მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური, ჰუმანიტარული და ა. შ. მოსწავლეები ამ სკოლებში გავანაწილოთ პირველ ოთხ კლასში წარმოებული დაკვირვების საფუძველზე მათი მიდრეკილებების მიხედვით. ასეთ სკოლებში პროგრამებში მეტი ადგილი უნდა ეთმობოდეს მაპროფილებელ საგანს, აუცილებლად ნაკლები — ყველა დანარჩენს, რაც მოსწავლეს მეტ თავისუფალ დროს მისცემს.

ამ გზით რამდენადმე გადაიჭრება ბავშვების დატვირთვის პრობლემა და აკადემიური მოსწრებაც გაიზრდება მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. საშუალო ნიშნების მქონე ბავშვები VIII კლასიდან ორგანიზებული წესით უნდა გადავიყვანოთ სხვადასხვა ტექნიკუმსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ამ კონტინგენტს, რომელიც მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს (60-70 პროცენტს) შეადგენს, უნდა მივცეთ პირველადი პროფესიული ორიენტაცია, ესე იგი გარკვეული სპეციალობა და სიმწიფის ატესტატის ძალის მქონე დიპლომი. ეს აზრი გამოითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. ჩვენი აზრით, სკოლას უნდა ამთავრებდნენ მხოლოდ ოთხოსნები და ფრიადოსნები, საშუალო მოსწავლეებს კი სხვა გზა უნდა მივცეთ.

ეს გეგმა თუ განხორციელდა, თამამად შეიძლება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ინსტიტუტში პირობით უგამოცდოდ ჩავრიცხოთ. ერთი წლის მანძილზე აბიტურიენტის უნარსა და შესაძლებლობებზე ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე, აგრეთვე მისი ყოველკვირეული აკადემიური მოსწრების მიხედვით, რაც სპეციალურ რუკაზე იქნება აღნუსხული. საბოლოოდ, გამომთვლელი მანქანების დახმარებით შეირჩევა სტუდენტთა საჭირო რაოდენობა ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლისთვის. ეს სტუდენტები შეიძლება ჩაითვალონ II კურსზე მიღებულად, დანარჩენები კი უმაღლესი სასწავლებლიდან გავრიცხოთ და მივცეთ, ვთქვათ, ტექნიკუმის II ან III კურსზე სწავლის გაგრძელების უფლება. ამ უკანასკნელთა შორის უნდა ეწყობოდეს კონკურსი უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად.

ეს იქნება ყველაზე ობიექტური და უმტკივნეულო გზა, ვინაიდან ერთ წელიწადს სწავლის მანძილზე ყველა სტუდენტს მიეცემა საშუალება შეაფასოს თავისი ამხანაგების უნარი და შესაძლებლობები.

ამგვარად, ერთი მხრივ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებს ღირსეულ ახალგაზრდებს, მეორე მხრივ კი თავიდან ავიცილებთ აბიტურიენტებისა და მათი მშობლების საგამოცდო აჟიოტაჟს. რაც მთავარია, ამ გზით ახალგაზრდობას დამატებით მივცემთ თავისუფალ დროს ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისთვის.

ლ. ცაგარელი,
თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

იბეჭდება კამათის წესით.

შედეგები წლიდან წლამდე იზრდება

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა დაოსტატებას დიდად უწყობს ხელს თანატოლებთან მატჩების ხშირად გამართვა. წლეულს ისინი რამდენიმე ასეთ მატჩში შეხვდნენ დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, დონეცკის, რიგის, ბელგოროდ-დნესტროვსკისა და სხვა სკოლების მოსწავლეებს, ოქტომბრის ბოლო ორ დღეს კი მათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე მასპინძლობდნენ.

ნორჩ სპორტსმენთა ინტერესი ამგვარი შეჯიბრებებისადმი წლიდან წლამდე იზრდება და შედეგებიც მატულობს. მაგალითად, შარშან სარბიელზე მასპინძელთა 198 მძლეოსანი გამოდიოდა, წლეულს — 251. მაშინ ოთხმა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 43-მა — მეორე, 69-მ კი მესამე თანრიგისა. წლეულს მასპინძელთა ერთი წარმომადგენელი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს შეეწვდა, 8 — პირველი თანრიგისას, 52 — მეორე და 108 — მესამე თანრიგისას. შედეგები შარშანდელთან შედარებით 33 შემთხვევაში გაუმჯობესდა.

წლევანდელი ტურნირი მოსწავლეთა ორმა რესპუბლიკურმა რეკორდმაც დაამშვენა: თბილისის 56-ე სკოლის მეცხრეკლასელმა დ. წოწკოლაურმა (მწვრთნელი ო. ოდიშვილი) ექვსკილოგრამიანი ურო 64,62 მეტრზე ტყორცნა და თავისივე მიღწევა 3,22 მეტრით გააუმჯობესა, სპორტის ოსტატ ი. გიგაურის აღსაზრდელმა რ. ბაირამოვმა კი ექვსასგრამიანი შუბი 73,16 მეტრზე ტყორცნა.

შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფად ტარდებოდა. 1955-56 წლებში დაბადებულთაგან უნდა გამოვყოთ თბილისელი ა. ივანოვი და ქუთაისელი ი. რიჟინაშვილი, რომლებმაც 100 მეტრზე რბენაში პირველი თანრიგის ნორმატივი აჩვენეს. ზაპოროჟიელმა ვ. პლაკსიუკმა 400 მეტრზე შესანიშნავად ირბინა — 49,6 წამი. თბილისელმა ჯ. მაისურაძემ 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში პირველი თანრიგის ნორმატივი პირველად შეასრულა — 22.45,0 (გაიმარჯვა რიგელმა ა. კარანსმა — 22.15,0). უროს ტყორცნაში გ. ელიაშვილმა (57,68 მ) დაამარცხა სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული ს. ხუმიჩენკო (დნეპროპეტროვსკი).

1957-58 წლებში დაბადებულებიდან ზემოაღნიშნულ ბაირამოვისა და წოწკოლაურის გარდა, თბილისელები — 100 მეტრზე მორბენალი ვ. ხახვიაშვილი (10,8), სიგრძეზე მხტომელი პ. გახელაძე (643) და ტ. ეროხინა უნდა გამოვყოთ. ამ უკანასკნელმა 100 მეტრზე რბენაში პირადი რეკორდი დაამყარა — 12,1 წამი.

12-13 წლიანებში რამდენიმე მონაწილემ მოზარდთა მეორე თანრიგის ნორმატივის შესრულება შეძლო. 12 წლის ი. მაჩაიძემ 60 მ 8,3 წამში გაირბინა, ვ. დელიბაშვილმა ხუთკილოგრამიანი ურო 57,10 მეტრზე ტყორცნა, გ. სავჩენკო 180 სმ სიმაღლეზე გადახტა, 13 წლის ი. კოჩიევმა (რუსთავი) 110 მეტრზე თარჯრბენში 15,6 წამი აჩვენა.

რ. მაღრაძე.

• • •

სურათებზე: დ. წოწკოლაური ვარჯიშზე; სიგრძეზე ხტება პ. გახელაძე; 100 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებული ტ. მერკულოვა (წინ) ასპარეზობისას.

მ. ზარვარიანის ფოტოები.

„ლელო" წერილის კვალდაკვალ

„სპორტულ კლუბს მეტი დახმარება სჭირდება"

„ლელოს" 27 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდის" მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. ეს წერილი ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „ლენინელმა" თავის 8 ოქტომბრის ნომერში გადაბეჭდა.

ქარხნის დირექტორი ვ. ხარებავა, პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. საჩკოვი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ალავიძე და კომკავშირის კომიტეტის მდივანი შ. ღირდალაძე გვატყობინებენ, რომ დირექციამ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კომიტეტებთან ერთად განიხილა წერილი. აღინიშნა, რომ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.

საავტომობილო ქარხანაში სპორტული ბაზების მშენებლობისა და სპორტული მუშაობის დროულად გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი: მიმდინარეობს კომპლექსური ბაზის (ხელბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნების, სარბენი ბილიკების, ტყორცნისა და ხტომის სექტორების, 2000-ადგილიანი სტადიონის) მშენებლობა, რომელიც გაისად პირველი მაისისთვის დამთავრდება.

დირექციის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად ქარხანაში სპორტული საქმიანობა გამოცოცხლდა: განახლდა თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის სექციების მუშაობა, საჭიდაო დარბაზში მოეწყო გასახდელები, საშხაპეები. დირექციას გათვალისწინებული აქვს 1975 წლის ბოლოსთვის საექსპლოატაციოდ გადასცეს ფარიკაობისა და ჭიდაობის საშუალო ზომის დარბაზები.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს წინაშე დაისვა საცურაო აუზის ასაშენებლად სახსრების გამოყოფის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

მატჩი უნდა გადაიტანონ!

ბელგრადი, 11 ნოემბერი. (საქდესი). იუგოსლავიის საფეხბურთო კავშირი მხარს უჭერს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სამართლიან მოთხოვნას სანტიაგოდან მატჩის გადატანის თაობაზე და სავსებით მართებულად მიაჩნია საბჭოთა სპორტსმენთა უარის მიზეზები.

— ჩილის სამხედრო ხუნტა, — ნათქვამია კავშირის განცხადებაში, — აგრძელებს თავისი ქვეყნის პროგრესული ადამიანების დევნას, დაპერას, ტერორს, აპატიმრებს და ძალადობას ხმარობს სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ. ეს ყველაფერი საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის ძირითად უფლებებს და შეუძლებელს ხდის ნორმალურ ურთიერთობას ჩილის ამჟამინდელ რეჟიმთან, მათ შორის სპორტის სფეროშიც.

იუგოსლავიის საფეხბურთო კავშირმა გამოთქვა იმედი, რომ ფიფა გადახედავს თავის პოზიციას და ყურად იღებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სამართლიან მოთხოვნას.

ჰააგა, 11 ნოემბერი. (საქდესი). ჰოლანდიის საფეხბურთო ფედერაციამ ფიფა-ს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მხარს უჭერს საბჭოთა სპორტსმენთა მოთხოვნას სსრ კავშირისა და ჩილის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის მესამე ქვეყანაში გადატანის შესახებ. „ჰოლანდიის ფედერაცია, — ნათქვამია ამ განცხადებაში, — წინადადებას იძლევა, რომ სასწრაფოდ მოიძებნოს სხვა ადგილი მატჩის ჩატარებისთვის, რათა ამით ხელი შეეწყოს საკითხის სპორტულ გადაწყვეტას“.

ფიფა-ს აღმასკომის სესიის მოწვევისთვის

ლა-ვალეტა, 11 ნოემბერი (საქდესის კორ.). შვეციის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა გუნარ ერიქსონმა მხარი დაუჭირა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სესიის მოწვევას სსრ კავშირისა და ჩილის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის საკითხის გადასაწყვეტად. ეს განცხადება ერიქსონმა გააკეთა ლა-ვალეტაში, სადაც იგი ჩამოვიდა მალტისა და შვეციის გუნდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩთან დაკავშირებით.

ერიქსონმა დასძინა, რომ იგი დაუკავშირდება სხვა სკანდინავიური ქვეყნების ასოციაციებს, რათა მათგან ამ თავისი ინიციატივის მხარდაჭერას მიაღწიოს.

• •

დინამოელებმა გვასახელეს

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 7 ნოემბერს ბელგრადში უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებითს მეთექვსმეტედფინალურ მატჩში დაამარცხეს იქაური ოფკ და მერვედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

„ლელოს“ წარმომადგენელი ეწვია ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს და სთხოვა მას გაზეთის მკითხველთათვის, სპორტის მოყვარულთათვის ეამბნა დინამოელთა ამ მატჩის შესახებ.

— როგორც იცით, — თქვა ფ. მახარაძემ, — პირველი მატჩი თბილისში „დინამომ“ ბელგრადელებს მოუგო ანგარიშით 3:0. როცა იუგოსლავიელები შინ დაბრუნდნენ, იქ მათი დელეგაციის ხელმძღვანელს ერთი შეკითხვა დაუსვეს: რა მოხდა თბილისში ისეთი, რომ ასე მწარედ დამარცხდითო? ხელმძღვანელმა ასე უპასუხა: აი, ჩამოვლენ აქ თბილისელები, ითამაშებენ და მაშინ მიხვდებით, რაც მოხდაო.

ბელგრადში ჩვენს შესახვედრად საგანგებოდ ემზადებოდნენ. მიგვიღეს შესანიშნავად, მოგვათავსეს საუკეთესო სასტუმროში, ყურადღებას არ გვაკლებდნენ. მაგრამ ამ სტუმართმოყვარეობის გარდა მასპინძლებს სხვა, მთავარი საზრუნავიც ჰქონდათ — მომავალი მატჩი. 7 ნოემბრის ნომერში ბელგრადის გაზეთმა „სპორტმა“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ოფკ-ს მწვრთნელის, წარსულში გამოჩენილი იუგოსლაველი მეკარის მ. შოშკიჩის ვრცელი წერილი სათაურით „შეტევა, მხოლოდ შეტევა“. წერილს თან ახლდა დიდი ფოტოსურათი: წინა პლანზე გამოსახული იყო ოფკ-ს წამყვან მოთამაშეთა ჯგუფი, უკან კი ორ ფეხბურთელს ეჭირა ვეება ფარი წარწერით — 4:0. ეს გუნდის დევიზი იყო იმ მატჩისთვის.

არ ვიცი, თვით ბელგრადელ ფეხბურთელებზე რა გავლენას ახდენდა ეს ფოტო, ჩვენი ბიჭებისთვის კი იგი სტიმულად იქცა. გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა თავის შეხედულებას გამოთქვამდა, საერთო აზრი კი ის იყო, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავუთმობდით არაფერს მეტოქეს და ბოლომდე მივიყვანდით კარგად დაწყებულ საქმეს.

მატჩი, როგორც იცით, 7 ნოემბერს, დიდი ზეიმის დღეს შედგა. ჩვენმა გუნდმა იცოდა, რომ შეხვედრის მეორე ნახევარს ინტერვიზიით გადასცემდნენ. ყველაფერი ეს მონდომებას, მობილიზებისა და პასუხისმგებლობის გრძნობას მატებდა თითოეულ ფეხბურთელს. თბილისის „დინამო“ პირველად გამოდიოდა იუგოსლავიაში და თავი არ უნდა დაეზოგა პრესტიჟის დასაცავად.

სხვათა შორის, იმავე „სპორტმა“ 6 ნოემბრის ნომერში მთელი გვერდი დაუთმო 1946 წლის მატჩს თბილისში „დინამოსა“ და ბელგრადის „პარტიზანს“ შორის, რომელიც იუგოსლავიელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1. იხსენებდნენ მთლიანად მატჩს, მის ცალკეულ დეტალებს, განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ბ. პაიჭაძის ბრწყინვალე თამაშს. არც ის დაივიწყეს, რომ ბ. პაიჭაძეს იმ პერიოდში რუმინულმა პრესამ „ფეხბურთის კარუზო“ უწოდა.

ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ, თითოეულმა ფეხბურთელმა მტკიცედ გადავწყვიტეთ არ გაგვემეორებინა სოფიის „სლავიასთან“ ძველი შეხვედრის მაგალითი და გვეთამაშა მხოლოდ შემტევი, მოიერიშე ფეხბურთი, მაქსიმალურად გამოგვევლინებინა ის თვისებები, რომლებიც თბილისის „დინამოს“ ახასიათებს: მაღალი ტექნიკა, სისწრაფე, ტემპი, აგრესიულობა.

მატჩის მეორე ნახევარი ფეხბურთის მოყვარულებმა ნახეს და მასზე ყურადღებას არ შევაჩერებთ, მაგრამ შეხვედრისა და მასთან ერთად მეთექვსმეტედფინალის ბედი არსებითად გადაწყდა პირველ ტაიმში, რომელიც დინამოელებმა შესანიშნავად ჩაატარეს. დაიწყო თამაში და დინამოელები მაშინვე „დასახლდნენ“ მეტოქის საჯარიმო მოედანზე. ბელგრადელთა გუნდი თავის კართან აღმოჩნდა მიჯაჭვული. მე-5 წუთზე ასათიანმა საჯარიმო დარტყმით წამოიწყო კომბინაცია, ბურთი გადააწოდეს ქელიძეს, და ამ უკანასკნელის უძლიერესი დარტყმის წინაშე მეკარე უძლური აღმოჩნდა — 1:0. მე-18 წუთზე, კვლავ საჯარიმო დარტყმით, ასათიანმა კარგ პოზიციაში გაიყვანა მ. მაჩაიძე. მისი დარტყმა მოხვდა ძელს, ბურთი დაუბრუნდა მინდორს, მას მიუსწრო გ. ნოდიამ და ანგარიში ორამდე გაზარდა, 35-ე წუთზე კი ასათიანი — გ. ნოდია — ასათიანის კომბინაციის შემდეგ ბურთი ყიფიანს გადაეცა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა მესამედ დააწყებინა მასპინძლებს თამაში ცენტრიდან. რაც შესვენების შემდეგ მოხდა, ყველასთვის ცნობილია.

აქ მინდა ხაზი გავუსვა ერთ ამბავს: მატჩის წინ (შეხვედრა დღისით შედგა იმის გამო, რომ ოფკ-ს 35-ათასიან სტადიონზე ელექტროგანათება არ არის) ტრიბუნებზე დიდი აჟიოტაჟი სუფევდა, გულშემატკივრები დროშებით, ტრანსპარანტებით, შეძახილებით ამხნევებდნენ თავიანთ გუნდს, ჩვენ კი მხარდამჭერად გვყავდა უკრაინიდან ჩამოსული ტურისტების პატარა ჯგუფი. მაგრამ, როცა თბილისელებმა მეორე გოლი გაიტანეს, მაყურებელთა სიმპათიებმა მათს მხარეს გადაინაცვლა. გუნდი მართლაც ბრწყინვალედ თამაშობდა. ამას მალტელი არბიტრის ბულორის პირველხარისხოვანი მსაჯობაც ხელს უწყობდა.

მეორე დღეს ბელგრადის გაზეთებში ნახავდით სარეცენზიო წერილებს სათაურებით „კატასტროფა“. „სპორტმა“ ასე დაასათაურა განვლილი მატჩი: „თბილისელი სტუმრების ლექცია“. მაღალი შეფასება მიიღეს ჩვენმა ცალკეულმა ფეხბურთელებმა: ხურცილავამ — 9 ქულა (იქ შეფასების 10-ბალიანი სისტემაა), ყიფიანმა — 9, ასათიანმა — 8, მაჩაიძემ — 8 და ა. შ. ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ ოფკ-ს რამდენიმე დღის უკან დამარცხებული ჰყავდა „პარტიზანი“...

მოსკოვში დაბრუნებულებმა შევიტყვეთ ახალი კენჭისყრის შედეგები, რომ მერვედფინალში მეტოქედ შეგვხვდა ძალიან ძლიერი მეტოქე — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“, უეფა-ს თასის 1971-72 წლების გათამაშებაში გამარჯვებული. ჩვენ თხოვნით მივმართეთ საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს, რომ საშუალება მიეცათ სსრ კავშირის ნაკრების წევრებისთვის ძოძუაშვილისთვის, გ. ნოდიასთვის და მაჩაიძისთვის უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალში თავიანთი გუნდის შემადგენლობაში ეთამაშათ „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ. ეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

ახლა თბილისის დინამოელები ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად არიან თურქეთში. 28 ნოემბერს თბილისში ვუმასპინძლებთ „ტოტენჰემს“, 10 დეკემბერს გავემგზავრებით ლონდონს, სადაც 12 დეკემბერს განმეორებითი თამაში გვაქვს ინგლისელებთან.

თბილისის „დინამოს“ ახლანდელი შემადგენლობიდან ინგლისელ ფეხბურთელებთან ბევრს არ უთამაშია, მაგრამ ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — „დერბი ქაუნთი“ ამას წინათ ვნახეთ უელვას საერთაშორისო ტურნირზე ესპანეთში, სადაც კოლუმბის „კარაველა“ მოვიგეთ. ამიტომ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ინგლისის გუნდებზე. ამას გარდა, საგანგებოდ შევისწავლით მათი თამაშის მანერას, „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ცალკეულ მოთამაშეებს, მათს ძლიერ და სუსტ მხარეებს.

მერვედფინალში ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს. ჩვენს გუნდს მოელის შეუპოვარი, უშეღავათო ბრძოლა. დინამოელები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადებიან ამ ბრძოლისთვის და თითოეული მათგანი მზადაა თავი არ დაზოგოს, რათა გაამართლოს გულშემატკივართა იმედები, ღირსეულად დაიცვას ჩვენი ფეხბურთის სახელი.

მხარდამხარ.

მოლოდინი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

მეგობრულ ვიეტნამში

ჰანოი, 11 ნოემბერი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის სტადიონზე საბჭოთა ფეხბურთელების გამოსვლამ აურაცხელი მაყურებელი მიიზიდა — აქ გაიმართა ყარაგანდის „შახტიორის“ პირველი ამხანაგური მატჩი მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლებთან. სტუმრებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს ჰანოის ნაკრებს.

ბრძოლას განაგრძობენ

სოფია, 11 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების აქ გამართულ განმეორებითს მერვედფინალურ მატჩში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 21:20 (13:12) დაამარცხა ამ საპატიო პრიზის მფლობელი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდი. მიუხედავად ამისა, მეოთხედფინალში მოსკოველები გავიდნენ, ვინაიდან მათ შინ 7 ბურთის სხვაობით (28:21) სძლიეს ბულგარელებს.

დღევანდელ მატჩში თავი გამოიჩინა გ. მაქსიმოვმა, რომელმაც მასპინძელთა კარში 11 გოლი გაიტანა.

მოსკოვი, 11 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითს მერვედფინალურ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-ს და როსტოკის (გდრ) ხელბურთელ ვაჟთა გუნდები.

როგორც ცნობილია, ამ კოლექტივთა პირველი შეხვედრა გერმანელებმა მოიგეს — 18:16. არმიელებმა დღეს უფრო მეტი სხვაობით გაიმარჯვეს — 19:15 (10:8) და გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ.

სამოქალაქო და სამამულო ომების ადგილებში

კარელიის მექალალდეთა დედაქალაქი კონდოპოგი საზეიმოდ შეხვდა ადგილობრივი საშუალო სკოლის კომკავშირელი უფროსკლასელების ორ რაზმს, რომლებიც საინტერესო ლაშქრობიდან — სამოქალაქო და სამამულო ომების ადგილებიდან დაბრუნდნენ.

ამგვარი ლაშქრობები აქ კარგა ხანია ტრადიციად იქცა. მაგალითად, კარელიაში მეშვიდედ აიღო სტარტი „ანტიკაინენის ნათხილამურევმა“ — ახალგაზრდებში უაღრესად პოპულარულმა სამხედრო-სპორტულმა შეჯიბრებამ. ეს თამაშები ეწყობა ინტერნაციონალური სამხედრო სკოლის წითელი კურსანტების პატივსაცემად, რომლებმაც 1922 წელს სამოქალაქო ომის გმირის ტოივო ანტიკაინენის ხელმძღვანელობით მტრის ზურგში 1100-კილომეტრიანი სათხილამურო რეიდი განახორციელეს.

კონდოპოგი,
კარელიის ასსრ.

კიდევ ერთი თამაში უწევთ

ავსტრიისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს, რომლებიც ევროპის I შესარჩევ ჯგუფში თამაშობენ, მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ფინალის საგზურისთვის კიდევ ერთი დაუგეგმავი მატჩის ჩატარება უწევთ ნეიტრალურ მინდორზე. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ლა-ვალეტას სტადიონზე მალტის ნაკრებს შვეციის ეროვნულმა გუნდმა მწვავე ბრძოლაში აჯობა — 2:1.

ამ შეხვედრის შემდეგ შვედებს და ავსტრიელებს 8-8 ქულა და ბურთების ერთნაირი ბალანსი აქვთ: პლუს 7 (უნგრელებმაც 8 ქულა დააგროვეს, მაგრამ მათ ბურთების ბალანსი ცოტა უარესი აქვთ).

სკანდინავიის წარმომადგენლებს მასპინძელთა ნაკრები, სულ ცოტა, 2 გოლის სხვაობით უნდა დაემარცხებინათ და ეს ამოცანა უტოპიად არავის ეჩვენებოდა: მალტელებმა მანამდე გამართულ ხუთ შეხვედრაში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანეს, საკუთარ კარში კი მიიღეს... 18 ბურთი.

შეხვედრა დრამატულად წარიმართა. ანგარიში მე-20 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. მალე შვედებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს. შესვენებამდე მათ კიდევ ერთხელ აიღეს მალტელთა კარი: ლარსონმა კარგად გამოიყენა პენალტი. მეორე ტაიმში შვედები ამაოდ უტევდნენ...

ავსტრიისა და შვეციის ნაკრები გუნდების დამატებითი შეხვედრა დიუსელდორფში (გფრ) გაიმართება.

ევროპის I ჯგუფის საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ავსტრია	6	3	2	1	14:7	8
შვეცია	6	3	2	1	15:8	8
უნგრეთი	6	2	4	0	12:7	8
მალტა	6	0	0	6	1:20	0

საქდესი მოგვითხრობს

მეკლდეური.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 21 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა ო. ობოლაძის (საჩხერის რაიონი, სოფ. ხრესილი) ამოცანამ მკითხველები დიდად დააინტერესა. რედაქციაში რამდენიმე ათეული წერილი შემოვიდა.

ყველაზე სწრაფად სწორი პასუხი გამოგზავნეს: ტ. და ო. მამულაშვილებმა, რ. მარგალიტაძემ, ა. ვერხვიაშვილმა, ნ. ლომაიამ, გ. ლორიამ (ყველა — თბილისი), ქ. ჯანაშიამ, თ. ფარულავამ (ორივე — გეგეჭკორი), ნ. გაგიშვილმა, მ. ივანაშვილმა (ორივე — რუსთავი), დ. შიშმილაშვილმა (ონი), ვ. ადამიამ, ტ. გეგენავამ, დ. ჩალიგავამ (სამივე — ცხაკაია), შ. შარაბიძემ, ა. კაკულიამ (ორივე — გალი).

ამოცანის ამოხსნაა 1.მc4.

მძლეოსნობა

კინგსტონი (იამაიკა). 23 წლის ჰეზლი კროუფორდმა აქ 100 მ 10,1 წამში გაირბინა. ამ შედეგმა იამაიკელი მძლეოსანი ოლიმპიადის შემდგომ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერთა სიაში XIV ადგილზე დააყენა.

უოლტონი (ინგლისი). ამ ქალაქის სტადიონზე 40 წლის რონ ბენტლიმ უჩვეულო მიღწევა დაამყარა: 24 საათს შეუჩერებელი რბენის შედეგად 259,602 კმ დაფარა. მანამდელი რეკორდი 20 წლის უკან იყო დამყარებული და 3 კილომეტრზე ცოტა მეტით ჩამორჩებოდა ამჟამინდელს.

რატომ აარიდეს თავი?

თბილისში, „ლოკომოტივის" სპორტდარბაზში, ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს თასის გუნდური გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. საპატიო ჯილდოს ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარისა და რუსთავის კოლექტივები. თბილისმა სამი გუნდი გამოიყვანა.

შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. სპორტსმენებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს და შეხვედრებიც საინტერესო გამოდგა. მაგრამ საკვირველია, რატომ აარიდეს ამ ტურნირს თავი აფხაზეთის, მახარაძის, ცხაკაიას, სამხრეთ ოსეთის, ხაშურის მოჭიდავეებმა. სამართლიან გულისწყრომას იწვევს ისიც, რომ უკვე კარგა ხანია დიდ ტურნირებში არ მონაწილეობენ ერთ დროს მოწინავე რაიონების მოჭიდავეები. სამწუხაროდ, ნელ-ნელა ჩამორჩნენ ლაგოდეხის, სიღნაღის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონების მოჭიდავეები. ზემოთ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები უნდა ჩაუფიქრდნენ შექმნილ მდგომარეობას და იზრუნონ მისი გამოსწორებისთვის.

გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიპოვა თბილისის პირველმა კოლექტივმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ქუთაისის გუნდს სძლია. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: შ. გიგოლაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, მ. კახელიშვილი, გ. გოგნაძე, გ. ჭელიძე, ი. წიკლაური, ნ. ბაბიაშვილი, მ. და შ. მორჩილაძეები.

აღსანიშნავია წარმატება თბილისის ახალგაზრდული ნაკრებისა, რომელმაც II საპრიზო ადგილი მოიპოვა. ქუთაისელ მოჭიდავეებს III ადგილი ხვდათ.

ტურნირის შემდეგ ვესაუბრეთ კლასიკურ ჭიდაობაში რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელს ი. ჩხარტიშვილს. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მოჭიდავეები ამჟამად საკავშირო თასისთვის ემზადებიან და ეს ტურნირიც ძალთა თავისებური შემოწმება იყო.

— კარგი იქნებოდა, — თქვა ი. ჩხარტიშვილმა, — ასპარეზობაში მონაწილეობა უფრო მეტ გუნდს მიეღო. ეს ჩვენ, მწვრთნელებს სპორტსმენთა უკეთ შერჩევის საშუალებას მოგვცემდა. ნაკრებში არიან ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომლებმაც ამ ტურნირში თავი გამოიჩინეს.

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

ერთი დღე წინსვლელ სპორტსმენებთან

ფიზკულტურის კოლექტივებში

წინსვლის სასოფლო კლუბში საღამოობით მუდამ ხალხმრავლობაა. სჭარბობს ახალგაზრდობა: ზოგი ჭადრაკსა და შაშს ჩასჯდომია, ზოგი სოფლის სპორტსმენთა წარმატებებზე მსჯელობს.

სალაპარაკო მართლაც აქვთ. მაგალითად, წინსვლელმა ფეხბურთელებმა მარტო რაიონში კი არა, მთელს აჭარაში ისახელეს თავი. წლეულს ისინი „ოქროს თავთავის" რაიონული თასის ფინალში მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს, შემდეგ კი აჭარის თასიც მოიპოვეს, როცა ფინალურ ბრძოლაში სძლიეს ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს. მერე წინსვლის გუნდი „ოქროს თავთავის" რესპუბლიკური თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, თუმცა იქ კი წააგო მახარაძის რაიონის ლაითურის „გიგანტთან".

ფეხბურთელთა გუნდის ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, შრომაშიც და სპორტშიც გამოირჩევიან ძმები ბიჭიკო და ჯუმბერ კორძაიები. პირველი მათგანი ბრიგადას უდგას სათავეში, მეორე კი რგოლს ხელმძღვანელობს. ბიჭიკოს ბრიგადა მოწინავეა, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას მაინც ჯუმბერ კორძაიას რგოლმა მიაღწია: იგი კოლმეურნეობის 33 რგოლს შორის საუკეთესოა და წლიური გეგმა თითქმის ორმაგად შეასრულა.

ჯუმბერ კორძაია იყო საქართველოს დელეგაციაში, რომელმაც 19 ივლისს მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე გამართულ საბჭოთა ქვეყნის კომკავშირლებისა და ახალგაზრდების საზეიმო მანიფესტაციაში მიიღო მონაწილეობა.

ამას წინათ ძმები სკკპ წევრობის კანდიდატებად მიიღეს.

ასევე მოწინავენი არიან შრომაში სხვა ფეხბურთელებიც — ძმები ქაზიმ და სოსო დიასამიძეები, თემურ და თამაზ ბარამიძეები, ზაურ და თამაზ ხუნდაძეები, ავთანდილ ბოლქვაძე, დურალი დიასამიძე, ალექსანდრე დევაძე, ზაურ ზოიძე.

კიდევ სამი რამ აქვთ საერთო ამ კუნთმაგარ ვაჟკაცებს: თითქმის ყველამ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, თითქმის ყველას აქვს საშუალო განათლება და თითქმის ყველა ოცნებობს უმაღლეს სასწავლებელში შესვლაზე, ზაურ ხუნდაძე კი უკვე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია.

წინსვლელები რაიონის ჩემპიონები გახდნენ მაგიდის ჩოგბურთში. გუნდში გამოდიოდნენ ფოსტის მუშაკი გაიანე კაიანი, კოლმეურნეები რევაზ თურმანიძე და ფელულ კორძაია. გაიანე კაიანი რაიონის ნაკრებ გუნდში შეიყვანეს და აჭარის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

სამბისტთა რაიონულ ნაკრებში ორი წინსვლელი გამოვიდა: კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩხაიძე და მერგოლეური დურალი დიასამიძე. პირველმა მძიმე წონაში აჭარის ჩემპიონობა მოიპოვა, მეორე კი საშუალო წონაში II ადგილს დასჯერდა.

აჭარის ხელბურთელთა ნაკრები გუნდის წევრია ავთანდილ ბოლქვაძე, რომელიც ფეხბურთითაცაა გატაცებული. მეათეკლასელები თემურ ზაქარაძე და ნოდარ შერვაშიძე აჭარის ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრები გუნდის წევრები არიან.

რაიონის ლელობურთელთა ნაკრები თითქმის მთლიანად წინსვლელი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ამ გუნდმა აჭარის პირველობაში II ადგილი დაიკავა.

წინსვლის ფიზკულტურულ კოლექტივში 388 კაცი ირიცხება, მათგან 200 კაცს ჩაბარებული აქვს მშდ ახალი კომპლექსის სხვადასხვა საფეხურის ნორმატივები.

კოლმეურნეობის გამგეობა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი მ. აბაშიძე) და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ზრუნვას არ აკლებენ სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივს. ამ ზრუნვამ, როგორც ხედავთ, კარგი ნაყოფი გამოიღო.

გვჯერა, რომ წინსვლელი ახალგაზრდები კვლავ მოწინავენი იქნებიან შრომასა და სპორტში.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

სოფ. წინსვლა,
ხელვაჩაურის რაიონი.

რაიონებში [illegible]

✦ გურჯაანი

აქ გაიმართა საქართველოს პირველობა ფრენბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თელავის, ლაგოდეხის, ცაგერის, წითელი წყაროს, ყვარლის, წყალტუბოსა და გურჯაანის გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ყვარლისა და გურჯაანის წარმომადგენლები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს გურჯაანელებმა. III ადგილზეა თელავის გუნდი. გაისად გურჯაანელები პირველ ჯგუფში ითამაშებენ.

ა. ჭუჭულაშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

✦ ზესტაფონი

დოსააფის რაიკომმა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მოაწყო შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით. ყველას აჯობეს მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ა. განუგრავა.

რაიონებში [illegible]

ახალი ამბები-73

● **ჰიამეენლინი, 11 ნოემბერი.** ფინეთის ამ ქალაქში ადგილობრივმა „კაიასტუსმა" ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში რიგის „რადიოტექნიკის" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდს უმასპინძლა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0 (15:5, 15:5, 15:6).

● *სიდნეი, 11 ნოემბერი. აქ გამართულ შეჯიბრებაში 20 წლის დენიზ რობერტსონმა 100 მ 11 წამში გაირბინა. მძლეოსნური სეზონი ავსტრალიაში ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა, რომელიც სულ მესამე შეჯიბრებაში გამოვიდა, ქვეყნის რეკორდს „გაასწრო" (მართალია, პატარა ზურგქარში). ფინიშთან მეორე იყო ბარბარა ჯორდანი, ხოლო მესამე — ჯენიფერ ლამი. მათ ერთნაირი შედეგი (11,2) აქვთ. ჩარლენ რენდინამ მოიგო 400 მეტრზე რბენა — 52,7, ხოლო ნორმა ნიქსონმა — სიგრძეზე ხტომა — 652 სმ. ვაჟებში თავი გამოიჩინეს გრეჭემ ჰალსკელმა და მიკ მაკგრატმა: პირველმა ყველას აჯობა 100 მეტრზე რბენაში (10,1), მეორემ — სამხტომში (16,43 მ): 100-მეტრიანი დისტანცია მეორემ გაირბინა გრეგ ლიუისმა — 10,2 წამი.*

მხოლოდ სამი კოლექტივი...

ჯავაში ჩატარდა მძლეოსანთა პირად-გუნდური პირველობა რაიონულ გაზეთ „ძაუს" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სკოლა-ინტერნატის, ხეჭვის და მსხლების რვაწლიანი სკოლების გუნდები. შეჯიბრებაში არ მიიღეს მონაწილეობა რაიონის სხვა რვაწლიანი და საშუალო სკოლების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი და „ძაუს" პრიზი მოიპოვეს სკოლა-ინტერნატის მძლეოსნებმა.

(ჩვენი კორ.).

ჯავა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ძოფი — № 1

იტალიელმა სპორტულმა მიმომხილველებმა უპასუხეს ტრადიციულ ანკეტაზე — „დაასახელეთ რესპუბლიკის № 1 ფეხბურთელი".

ხმების დიდი უმრავლესობით უპირატესობა მიენიჭა იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსისა" და ეროვნული ნაკრების მეკარე დ. ძოფს, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, ახლა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში.

შარშან მეორე, წლეულს...

სამი გუნდი ტოვებს ნორვეგიის I ლიგას: „ლინი" (ოსლო), „ფრიგი" (ოსლო) და „ფრედრიკსტად იფ". ეს უკანასკნელი შარშან II ადგილზე გავიდა, ამას წინათ კიევის „დინამოს" შეხვდა უეფა-ს ტურნირში, ახლა კი...

როუზმა შეამოწმა

ფიფა-ს პრეზიდენტი როუზი ამას წინათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იყო. უეფა-ს გენერალურ მდივან ბანგეტერთან ერთად მან შეამოწმა ის ქალაქები და სტადიონები, სადაც გაისად მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები გაიმართება.

ფიფა აპირებს უახლოეს ხანებში გადაწყვიტოს ჩემპიონატთან დაკავშირებული პრესისა და ფინანსური საკითხები. როგორც როუზმა განაცხადა, ფიფა ცოტა ხანში განიხილავს არგენტინელთა წინადადებას მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატში ფინალისტთა რიცხვის 20-მდე გაზრდის შესახებ.

საწინააღმდეგო არაფერი აქვს

ცნობილმა პერუელმა თავდამსხმელმა კუბილასმა, რომელიც ამას წინათ ჩავიდა ევროპაში და შვეიცარიის „ბაზელში" ჩაირიცხა, ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა:

„მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებისა, რომ პირველი სამი თვის მანძილზე ჯამაგირის ნახევარი მომცენ. ხელმძღვანელობა ამას იმიტომ აკეთებს, რომ მე ჯერ კიდევ არ ვიცნობ ევროპულ ფეხბურთს და არ შემიძლია სრული ძალით თამაში".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი [illegible] ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი. „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 12921